ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის

გიორგი ახვლედიანის

2017 წლის 14 ნოემბრიდან 2018 წლის 01 ნოემბრამდე საქმიანობის ანგარიში

2017 წლის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებზე საქართველოს დედაქალაქის მოსახლეობამ ოთხი წლის ვადით აირჩია ქალაქ თბილისის თვითმართველი წარმომადგენლობითი (საკრებულოს) ორგანოს წევრები. 2017 წლის 14 ნოემბერს შედგა ქალაქ თბილისის უნიციპალიტეტის საკრებულოს VI მოწვევის საკრებულოს სხდომა , სადაც საკრებულოს უფლებამოსილების ვადით ამირჩიეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, გიორგი ტყემალაძის, პირველ მოადგილედ.

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმათველობის კოდექსის 44-ე, 45-ე , 47 -ე მუხლებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის # 2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი“-ს მე-12 და მე-13 მუხლების შესაბამისად, როგორც საკრებულოს წევრმა და საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 28 და საკრებულოს 29 სხდომაში, სადაც მიღებულ იქნა 127 დადგენილება და 397 განკარგულება. აქვე მოგახსენებთ იმასაც, რომ ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრი. ამასთან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი.

დედაქალქის მოსახლეობის პრობლემათა გაცნობისა და მოგვარების მიზნით ამ ხნის განმავლობაში გამოვყავი მოქალაქეთა მიღების ერთი სამუშაო დღე, რომლის ფარგლებში პირადად გავესაუბრე 183 მოქალაქეს . ქალაქ თბილისის მოქალაქეების პრობლემების უკეთ გაცნობის მიზნით განმავლობაში ჩემი სამდივნოს მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ იქნა 14 გასვლითი შეხვედრა თბილისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან. ამასთან შეხვედრებს ვატარებდი მაჟორიტარ

დეპუტატებთან ერთად. მოქალაქეთა პრობლემების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა სოციალური შინაარსის პრობლემებთან ერთად ინფრასტრუქტურული სახის თემები.

საკრებულოს მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის ბრძანებით მიმდინარე წელს შეიქმნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო. გენდერული საბჭო შედგება ოცდაერთი წევრისგან. საბჭოს დადგენილებით განესაზღვრა უფლებამოსილება და საქმიანობის წესი. გენდერული თანასწორობის საბჭომ შევიმუშავეთ და საკრებულოს სხდომაზე დავამტკიცეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018-2020 წწ გენდერული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტი, რაც ითვალისწინებს შემდეგს:

- გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობის მექანიზმის დამკვიდრება;
- გენდერულ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;
- გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მუნიციპალური პროგრამების შემუშავება;
- ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება;
- საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა.

როგორც, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი აქტიურად ვარ ჩრთული საბჭოს ფუნქციონირებსა და მის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის #2-1 დადგენილებით და ქალაქ თბილისის მუნციპლიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 21 ივლისის #3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად სარევიზიო კომისიის 2017 წლის 14 დეკემბრის სხდომაზე დამტკიცებულ იქნა კომისიის 2018 წლის სამუშაო გეგმა. კომისია ახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების საფინანსო საქმინობის შემოწმებას, რომლის თანახმადაც სარევიზიო კომისია გასცემს რეკომენდაციებს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზო კომისიამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩაატარა 19 სხდომა და განიხილა 41 საკითხი, სადაც მივიღე აქტიური მონაწილეობა და შევისწავლე 31 საკითხი. საანგაროში პერიოდში შემოწმდა 23 ორგანიზაცია, აქედან 22 გეგმით გათვლისწინებული და 01 არაგეგმიური.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისია შეიქმნა და საკრებულოს რეგლამენტით/კომისიის დებულებით მინიჭებული

უფლებამოსილებების განხორციელება დაიწყო 2017 წლის 8 დეკემბრიდან. კომისიის საქმიანობის პრიორიტეტს წარმოადგენს დედაქალაქის დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების მიმოსვლის დაგეგმვა; დედაქალაქში ახალი სატრანპორტო საშუალებების შემოყვანის, სატრანსპორტო საკითხების მოწესრიგებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების გატარება; კომისია კოპენტეციის ფარგლებში ამყარებს ურთერთობებს საქართველოს, უცხოეთისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სახელმიფო ორგანოებთან; განიხალს სამრთებლივ აქტებს, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისის მოსახლეობის საქალაქო რეგულარული გადაყვანისათვის სანებართვო წესების დადგენას , მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზების შესახებ და სხვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 19 სხდომა, განხილული იქნა 40 საკითხი. აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი კომისიის მუშობის პროცესში . მონაწილეობა მივიღე სხვადასხვა საკითხების განხილვაში, მათ შორის:

- „თბილისის ავტობუსების პროექტი - კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის პროგრამის“ განხორციელების მიზნით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ გამოყოფილი 280 000 (ორას ოთხმოცი ათასი) ევროს ოდენობით გრანტის შესახებ საკითხი;

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის საკითხი, რომლის მიხედვითაც, 31 221,1 ათასი ლარით გაიზარდა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციის ქვეპროგრამა (კოდი 01 02 02). თანხა განკუთვნილი იყო ახალი, ეკოლოგიურად სუფთა და ევრო სტანდარტების მქონე ავტობუსების შესაძენად;

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

- “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, რკინიგზის სადგურის მიმდებარედ მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ- ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობისა და ოპერირების მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და სხვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისის მუშაობის პერიოდში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლებთან; ტაქსების კომპანიების წარმომადგენლებსა და სატრანსპორტო საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან; შპს ,,თბილისის მიკროავტობუსი"-ს ხელმძღვანელობასთან და ინფორმაციის მოსმენა კომპანიაში მიმდინარე პროცესებზე და ა.შ.

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე დედაქალაქის ყველა რაიონში, თბილისის საკრებულოს წევრებისა და მერიის წარმომადგენლების მონაწილეობით, სატრანსპორტო და საგზაო ინფრასტრუქტურის მონიტორინგის განხორციელებაში; გავეცანი თბილისის მეტროს საბურთალოს ხაზზე განახლებული მოძრავი შემადგენლობების ადგილზე დათვალიერებასა და მოდერნიზაციის პროცესს . მონაწილეობა მივიღე „მწვანე პოლიტიკა - ეკოტრანსპორტი"-ს და თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის პრეზენტაციაში.

2018 წლის 07-20 ივლისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეის საკრებულოს დელეგაციასთან ერთად სამუშაო ვიზიტით ვიმყოფებოდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. ქალაქ გუანჯოუში შეხვედრები გაიმართა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სახალხო კონგრესის თავმჯდომარის მოადგილესთან , იუ მინგ იონგთან და აღნიშნული კონგრესის მუდმივმოქმედ წევრებთან. შეევედრაზე განვიხილულ იქნა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების შესახებ საკითხები. საპასუხო შეხვედრა დაიგეგმა ქალაქ თბილისში მიმდინარე წლის დეკემბერში.

Guangzhou CIS International Science and Technology Cooperation Alliance-ის გენერალური დირექტორის თანადგომითა და მხარდაჭერით შევხვდით კომპანია ,,Chang Iz''-ის ხელმძღვანელ პირებს და ვისაუბრეთ საქართველოში საგანგებო სიტუაციების მართვის გაუმჯობესების მიმართულებით თანამედროვე ტექნიკის დანერგვისა და გამოყენების შესახებ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში შეხვედრა შედგა ქართული ჩაის პოპულარიზაციის მიზნით კომპანია ,,Rui Fengtan''-თან, რომლებიც დაინტერესებულები არიან ქართული ჩაის განვითარების მიმართულებით. მნიშვნელოვანია, რომ ჩინური კომპანია დაინტერესებულია საქართველოში წარმოების გახსნით, როგორც ადგილობრივი ბაზრის ასათვისებლად, ასევე ევროპასა და ამერიკაში პროდუქციის ექსპორტისათვის. დაიგეგმა ჩინური მხარის სამუშაო ვიზიტი , რომლის ფარგლებშიც უფრო კონკრეტულად განიხილება საკითხები შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად.

2018 წლის 01 – 03 სექტემბრის ჩათვლით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები სამუშაო ვიზიტით ვიმყოფებოდით ბელარუსის რესპუბლიკის დედაქალაქ მინსკში. დელეგაციის წევრები შევხვდით მინსკის საკრებულოს წარმომადგენლებსა და ვისაუბრეთ ჩვენი ურთიერთობების სამომავლო პერსპექტივებზე. მინსკში ყოფნისას მონაწილეობა მივიღეთ ფესტივალის „თბილისობა - 2018“ ოფიციალურ გახსნაში; დავათვალიერეთ მუნიციპალური მრავალფუნქციური სერვისცენტრები; კულტურულ-სპორტული და გასართობი კომპლექსი „მინსკი-არენა“; ფესტივალის ფარგლებში, დავესწარით მასპინძლების მიერ ორგანიზებულ ოფიციალურ ღონისძიებებს. დავათვალიერეთ მინსკის რამდენიმე საწარმო და გავეცანით მათ გამოცდილებას. უნდა აღნიშნოს, რომ ჩვენს ბელარუს კოლეგებთან ერთად ყურადღება გავამახვილეთ მინსკისა და თბილისის ურთიერთობის სამომავლო ინიციატივებზე და ერთობლივ პროექტებზე.

მიმდინარე წლის განმავლობაში მასპინძლობას ვუწევდი სხვადასხვა ქვეყნიდან სამუშაო ვიზიტით ჩამოსულ სტუმრებს. შეხვედრებზე განვიხილეთ ორმხრივი თანამშრომლობის მიმდინარე პრიორიტეტები და სამომავლო გეგმები.

როგორც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი ვმონაწილეობდი ფრაქციის მუშაობაში. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ფრაქციის 33 სხდომა, სადაც განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული 53 საკითხი. სხდომებზე მოვუსმინეთ ქალაქ თბილისის საკრებულოს კომისიების საქმიანობის ანგარიშებს; განვიხილეთ ქალაქ თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის სამომავლო გეგმა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტი. მოვუსმინეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, კახა კალაძეს და ერთობლივად განვიხილეთ მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები და სხვა.

საანგარიშო პერიოდში მონაწილებას ვიღებდი ყველა იმ ღონისძიებაში, რაც დაგემილი იყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის მხრიდან.

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გიორგი ახვლედიანი